2.4. მხარეები თანხმდებიან, რომ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, საიჯარო წლის დასრულებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში, შესაძლოა მოხდეს საიჯარო ფართის მოიჯარის მიერ შესასყიდი ღირებულების (1კვ.მ. - 1,800 აშშ დოლარი) გადახედვა. მეიჯარე უფლებამოსილია წარმოუდგინოს მოიჯარეს საიჯარო ფართის მის მიერ განსაზღვრული/დადგენილი ღირებულება არაუგვიანეს საიჯარო წლის დასრულებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. თუ აღნიშნულ ვადაში არ მოხდა მეიჯარის მიერ საიჯარო ფართის შესასყიდი ღირებულების წარმოდგენა მოიჯარესთვის, შემდეგი ორი წლის განმავლობაში ძალაში დარჩება ფართის უკვე არსებული შესასყიდი ღირებულება (1კვ.მ. - 1.800 აშშ დოლარი). აღნიშნული წესი მოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

2.5. მეიჯარის მიერ იჯარის ხელშეკრულების ცალმხრივად, ამ ხელშეკრულების 14.3.2.1. პუნქტით დადგენილი წესით შეწყვეტა და საინვესტიციო ღირებულების ანაზღაურება რეგულირდება შემდეგი სახით:

2.5.1. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან ერთი წლის განმავლობაში მეიჯარის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, იგი ვალდებულია შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მოიჯარეს 1 (ერთი) წლით ადრე და მოიჯარეს აუნაზღაუროს მოიჯარის მიერ ამ დანართის 2.1 პუნქტით განსაზღვრული **საინვესტიციო ღირებულება** სრული ოდენობით.

2.5.2. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან მეორე წლის განმავლობაში მეიჯარის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, იგი ვალდებულია შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მოიჯარეს 1 (ერთი) წლით ადრე და მოიჯარეს აუნაზღაუროს მოიჯარის მიერ ამ დანართის 2.1 პუნქტით განსაზღვრული **საინვესტიციო ღირებულების** ნაწილი, კერძოდ 194.750 (ასოთხმოცდათოთხმეტი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარი.

2.5.3. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან მესამე წლის განმავლობაში მეიჯარის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, იგი ვალდებულია შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მოიჯარეს 1 (ერთი) წლით ადრე და მოიჯარეს აუნაზღაუროს მოიჯარის მიერ ამ დანართის 2.1 პუნქტით განსაზღვრული **საინვესტიციო ღირებულების** ნაწილი, კერძოდ 173,112 (ასსამოცდაცამეტი ათას ას თორმეტი) ლარი.

2.5.4. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან მეოთხე წლის განმავლობაში მეიჯარის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, იგი ვალდებულია შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მოიჯარეს 1 (ერთი) წლით ადრე და მოიჯარეს აუნაზღაუროს მოიჯარის მიერ ამ დანართის 2.1 პუნქტით განსაზღვრული **საინვესტიციო ღირებულების** ნაწილი, კერძოდ 151,473 (ას ორმოცდათერთმეტი ათას ოთხას სამოცდაცამეტი) ლარი.

2.5.5. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან მეხუთე წლის განმავლობაში მეიჯარის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, იგი ვალდებულია შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მოიჯარეს 1 (ერთი) წლით ადრე და მოიჯარეს აუნაზღაუროს მოიჯარის მიერ ამ დანართის 2.1 პუნქტით განსაზღვრული **საინვესტიციო ღირებულების** ნაწილი, კერძოდ 129.834 (ასოცდაცხრა ათას რვაას ოცდათოთხმეტი) ლარი.

2.5.6. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან მეექვსე წლის განმავლობაში მეიჯარის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, იგი ვალდებულია შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მოიჯარეს 1 (ერთი) წლით ადრე და მოიჯარეს აუნაზღაუროს მოიჯარის მიერ ამ დანართის 2.1 პუნქტით განსაზღვრული **საინვესტიციო ღირებულების** ნაწილი, კერძოდ 108.195 (ასრვა ათას ას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარი.

2.5.7. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან მეშვიდე წლის განმავლობაში მეიჯარის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, იგი ვალდებულია შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მოიჯარეს 1 (ერთი) წლით ადრე და მოიჯარეს აუნაზღაუროს მოიჯარის მიერ ამ დანართის 2.1 პუნქტით განსაზღვრული **საინვესტიციო ღირებულების** ნაწილი, კერძოდ 86.556 (ოთხმოცდაექვსი ათას ხუთას ორმოცდათექვსმეტი) ლარი.

2.5.8. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან მერვე წლის განმავლობაში მეიჯარის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, იგი ვალდებულია შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მოიჯარეს 1 (ერთი) წლით ადრე და მოიჯარეს აუნაზღაუროს მოიჯარის მიერ ამ დანართის 2.1 პუნქტით განსაზღვრული **საინვესტიციო ღირებულების** ნაწილი, კერძოდ 64.917 (სამოცდაოთხი ათას ცხრაას ჩვიდმეტი) ლარი.

2.5.9. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან მეცხრე წლის განმავლობაში მეიჯარის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, იგი ვალდებულია შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მოიჯარეს 1 (ერთი) წლით ადრე და მოიჯარეს აუნაზღაუროს მოიჯარის მიერ ამ დანართის 2.1 პუნქტით განსაზღვრული **საინვესტიციო ღირებულების** ნაწილი, კერძოდ 43,278 (ორმოცდასამი ათას ორას სამოცდათვრამეტი) ლარი.

2.5.10. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან მეათე წლის განმავლობაში მეიჯარის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, იგი ვალდებულია შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მოიჯარეს 1 (ერთი) წლით ადრე და მოიჯარეს აუნაზღაუროს მოიჯარის მიერ ამ დანართის 2.1 პუნქტით განსაზღვრული **საინვესტიციო ღირებულების** ნაწილი, კერძოდ 21,639 (ოცდაერთი ათას ექვსას ოცდაცხრამეტი) ლარი.

2.6. ზემოაღნიშნული **საინვესტიციო ღირებულების** გადახდის ვალდებულება ვრცელდება ისეთ შემთხვევაზეც, როცა მოიჯარე წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას ვადამდე მეიჯარის მიერ იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო.

2.7. მოიჯარის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად, ვადამდე, უმიზეზოდ შეწყვეტის შემთხვევაში, იგი ვალდებულია შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მეიჯარეს 3 (სამი) თვით ადრე.

2.8. მხარეები თანხმდებიან და ადასტურებენ, რომ საიჯარო ქირა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 (ხუთი) კალენდარული წლის განმავლობაში უცვლელია და გადახედვას არ ექვემდებარება. 5 წლის შემდეგ, ბაზარზე მსგავსი მახასიათებლების მქონე იჯარის საგანზე საიჯარო ქირის ოდენობის 20%-ით ცვლილების შემთხვევაში, შესაბამის მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის ოდენობის 20%-ით შეცვლა (გაზრდა ან შემცირება) არაუმეტეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის 10%–სა. აღნიშნული უფლების გამოყენება შეიძლება წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მხოლოდ ერთხელ. ბაზარზე ფასების ზრდა ან კლება წერილობით უნდა იქნეს დასაბუთებული დაინტერესებული მხარის მოთხოვნაში. დაინტერესებული მხარის მიერ მოთხოვნილ საიჯარო ქირაზე მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, საიჯარო ქირის ოდენობას განსაზღვრავს მხარეთა შეთახმებით დანიშნული უძრავი ქონების დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი. საიჯარო ქირის ცვლილება, გადახედვის შედეგად, შედის ძალაში მხოლოდ მხარეთა მიერ წერილობითი გაფორმების შემდეგ. ამ პუნქტში აღნიშნული საკითხის ხელმოწერამდე მოქმედებს, ძველი, ხელშეკრულების პირვანდელი ვერსიით განსაზღვრული საიჯარო ქირის თანხა.

2.9. მოიჯარე უფლებამოსილია, მეიჯარის დამატებითი თანხმობის გარეშე, საიჯარო ფართში და მის ფასადზე განათავსოს საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის რეკლამა, ლოგო, ჩაატაროს ნებისმიერი სახის აქცია, პრეზენტაცია და სხვა.

2.10. მოიჯარეს უფლება აქვს საიჯარო ფართის ფასადზე, განათავსოს ნებისმიერი ზომის ბანერი ან/და პლაკატი იმ შემთხვევაში, თუ იგი არ ეწინააღმდეგება შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და სტანდარტებს.

2.11. იჯარის ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში მეიჯარე ვალდებულია გასცეს მოიჯარეზე ყველა სათანადო/საჭირო საბუთი (ნებართვა, თანხმობა და სხვა) რისი საჭიროებაც მოიჯარეს წარმოეშობა საიჯარო ფართით სარგებლობისას; ასეთი ვალდებულება მეიჯარეს არ გააჩნია, თუ ამ ხელშეკრულების მიხედვით, ასეთი საკითხებისას მხარეთა წინასწარი შეთანხმება სავალდებულოა. ასევე მეიჯარე ვალდებულია, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ხელი შეუწყოს მოიჯარეს ყველა სათანადო საბუთის (ნებართვების, თანხმობების და სხვა) მესამე პირის მხრიდან მიღებაში რისი საჭიროებაც მოიჯარეს წარმოეშობა საიჯარო ფართით სარგებლობისას.

მხარეთა ხელმოწერები

მეიჯარე / _____ /

მოიჯარე / _____ /

მეიჯარე _____

მოიჯარე _____